



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №38/742-11

30 მაისი 2011 წელი
ქ. თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კალაბა**

**მოსამართლე – მერაბ ლომიძე
საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე**

კერძო საჩივრის ავტორი – ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
დავის საგანი – სარჩელის დასაშვებობა
გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 მარტის განჩინება

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა – განჩინების გაუქმება

**საქმის გარემოებებთან დაკავშირებით
გასაჩივრებული განჩინების დასკვნებზე მითითება:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 მარტის განჩინებით ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელზე დაევალოს საქართველოს მთავრობას - საქართველოს მთავრობის 2010 წლის №415, №418, №420, №421, №424, №425, №431, №433 განკარგულებების, მათი გამოცემის აუცილებლობის დამადასტურებელი განმარტებითი ბარათების, 2010 წლის №416, №417, №432 განკარგულებების მხოლოდ განმარტებითი ბარათების გადაცემა, შეწყდა საქმის წარმოება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ 2010 წლის 13 აგვისტოს განცხადებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს და მოითხოვა საქართველოს მთავრობის მიერ 2010 წელს გამოცემული №415, №416, №417, №418, №419, №420, №421, №422, №424, №425, №426, №427, №428, №429, №430, №431, №433 და №434 განკარგულებების ასლების, ასევე იმავე განკარგულებების მიღების აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლების გადაცემა.



საქართველოს მთავრობის კანცელარიის საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ - საოქმო სამმართველოს უფროსმა ნათია ღლონტმა (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი) 2010 წლის 25 აგვისტოს №24/140 წერილით „მწვანე ალტერნატივას“ 2010 წლის 16 აგვისტოს №24/140 განცხადების პასუხად აცნობა, რომ საჯარო ინფორმაციის, კერძოდ, საჯარო დაწესებულებაში დაცული ოფიციალური დოკუმენტის - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოთხოვნის შემთხვევაში ხელმისაწვდომ ინფორმაციათა კატეგორიის განსაზღვრის მიზნით დაცული უნდა იქნეს ამ სახის დოკუმენტისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-52¹ მუხლებით დადგენილი მოთხოვნები. ამასთანავე, გაურკვეველია განცხადებაში დაყენებული საკითხი აქტის მიღების აუცილებლობის „დამასაბუთებელი“ ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით. იმავე პირმა, 2010 წლის 10 სექტემბრის №24/140 წერილით ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ 2010 წლის 7 სექტემბრის №24/140 განცხადების პასუხად აცნობა, რომ მათ მიერ მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის განკარგულებებისა და მათი მიღების აუცილებლობის დამასაბუთებელი დოკუმენტაციის ასლებთან დაკავშირებით შეეძლო მიემართა იმ სამინისტროებისა და უწყებებისათვის, რომლებმაც განახორციელეს აღნიშნული სამართლებრივი აქტების პროექტების ინიცირება.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ უწყებრივი ქვემდებარეობა კანონით განსაზღვრულ იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობაა, რომელთა ფარგლებში სასამართლოს შეუძლია მიიღოს და განიხილოს საქმეები. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას განსაზღვრავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი, რომლის მე-5 ნაწილის თანახმად, „სასამართლო არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა“. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად კი, პირს თავის უფლებათა დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის უფლება გააჩნია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად. იმავე კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან, საჩივრდება XIII თავით დადგენილი წესით, რომლითაც რეგულირდება ადმინისტრაციული წარმოების საკითხები ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მსჯელობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის საფუძველზე საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობებზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით, ვინაიდან იმავე კოდექსის 177-ე, 180-ე მუხლებით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის უფლებამოსილება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12

მუხლზე, რომლის მე-ნ ნაწილის შესაბამისად, მთავრობის მუშაობის წესი განისაზღვრება მთავრობის რეგლამენტით, რომელსაც პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს მთავრობა. იმავე კანონის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მომზადების, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ხელშეწყობის მიზნით იქმნება მთავრობის კანცელარია. „საქართველოს მთავრობის კანცელარიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 3 მარტის №2 დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად, მთავრობის კანცელარიის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს კანცელარიის უფროსი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს კანონმდებლობით, მთავრობის კანცელარიის დებულებითა და პრემიერ-მინისტრის მიერ მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს, ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს კანცელარიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას. მხარეთა შორის სადავოდ არ გამხდარა ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი წარდგენილი 2010 წლის 13 აგვისტოს №04/03-213 განცხადება შესასრულებლად გადაეცა საქართველოს მთავრობის კანცელარიას, რომელსაც ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმათა განმარტებიდან გამომდინარე ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს კანცელარიის უფროსი.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა „საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 ივლისის №57 დადგენილების 29-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, მთავრობის კანცელარია უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და თანამდებობის პირებისათვის საქართველოს მთავრობის ან პრემიერ-მინისტრის მიერ გაცემული დავალებებისა და მითითებების დროულ მიწოდებას. იმავე დადგენილების 64-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მთავრობაში მოქალაქეთა წერილობით მიმართვებზე (განცხადება, საჩივარი) მუშაობასა და საჯარო ინფორმაციის გაცემას უზრუნველყოფს მთავრობის კანცელარია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად. საქალაქო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე წარდგენილ განცხადებაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით პასუხი გაცემული იქნა საქართველოს მთავრობის კანცელარიის საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, რომლის ქმედებაზე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, მოსარჩელეს არ გამოუყენებია ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის უფლებამოსილება საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსთან.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ვინაიდან საკითხის განხილვა სხვა უწყების - საქართველოს მთავრობის კანცელარიის კომპეტენციაში შედის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“, რომელმაც განმარტა, რომ გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და 394-ე მუხლის „ე“, 285-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტების დარღვევით. კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებია, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელზე უნდა შეწყდეს წარმოება, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ არ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ ზაკ-ის 178-ე მუხლის საფუძველზე საჩივრის წარდგენა შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით. სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით მიუთითა „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 12.6 და 13.1 მუხლების შინაარსზე, „საქართველოს მთავრობის კანცელარიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 3 მარტის №2 დადგენილების მე-4 მუხლის შინაარსზე, „საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 ივლისის №57 დადგენილების 29-ე, 64-ე მუხლების შინაარსზე და იმის გათვალისწინებით, რომ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ განცხადებაზე პასუხი გაცემული იქნა საქართველოს მთავრობის კანცელარიის საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, მიიჩნია, რომ მოსარჩელეს საქართველოს მთავრობის კანცელარიის საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის პასუხზე ადმინისტრაციული საჩივარი უნდა წარედგინა საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ გააკეთა შემაჯამებელი დასკვნა, რომ სარჩელზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად უნდა შემწყდარიყო საქმის წარმოება, ვინაიდან საკითხის განხილვა სხვა უწყების - საქართველოს მთავრობის კანცელარიის კომპეტენციაში შედის. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, საფუძველს მოკლებულია და არ უნდა იქნეს გაზიარებული სასამართლოს მოსაზრება მასზედ, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების უწყებრივი ქვემდებარეობა. მითითებული მუხლის სათაურიდანვე ირკვევა, რომ ამ ნორმით განსაზღვრულია სასამართლოს განსჯადია ადმინისტრაციული საქმეები და არა ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების უწყებრივი ქვემდებარეობა. უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა პროცესის განსხვავებული ინსტიტუტებია და თითოეული დამოუკიდებლად მიეკუთვნება საპროცესო წინამძღვრებს, რაც სარჩელის დასაშვებობის ერთერთი აუცილებელი წინაპირობაა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, უწყებრივი ქვემდებარეობა კანონით განსაზღვრული იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობაა, რომელთა ფარგლებში სასამართლოს შეუძლია მიიღოს და განიხილოს საქმეები. სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობის შემოწმებას სასამართლოები ახდენენ თავიანთი ინიციატივით. სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული დანაწესის რეალიზაციას, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სასამართლოებთან მიმართებაში უწყებრივ ქვემდებარეობაში იგულისხმება ის სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები, რომელთა განხილვისა და არსებითად გადაწყვეტის უფლებამოსილება აქვთ სასამართლოებს. განსჯადობა არის პროცესის ინსტიტუტი, რომელიც აწესრიგებს სასამართლოებისადმი უწყებრივად ქვემდებარე საქმეების კონკრეტული სასამართლოს გამგებლობისადმი მიკუთვნების საკითხს ანუ განსჯადობის შესახებ ნორმები განსაზღვრავენ ერთიანი სასამართლო სისტემის შიგნით ამ სისტემის კონკრეტული სასამართლოების კომპეტენციას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის საკითხში. აღნიშნულიდან გამომდინარე ცალსახაა უწყებრივ ქვემდებარეობას და განსჯადობას შორის არსებული განსხვავებები, რაც საქალაქო სასამართლომ არ გაითვალისწინა. შესაბამისად, საქმეზე გამოტანილია უკანონო და არასწორი განჩინება, რომელიც ექვემდებარებ გაუქმებას. სასკ-ის 2.5 მუხლით განსაზღვრულია სასამართლოს უწყებრივად დაქვემდებარებული სარჩელის დასაშვებობის წინაპირობად ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადა წარდგენის შესაძლებლობის გამოყენების აუცილებლობა, რაც იმავედროულად ნამდვილად არ წარმოადგენს ამ საფუძვლით სსსკ-ის 272-ე მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სწორია და ეთანხმება საქალაქო სასამართლოს მსჯელობას „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 12.6 და 13.1 მუხლების შინაარსზე, „საქართველოს მთავრობის კანცელარიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 3 მარტის №2 დადგენლების მე-4 მუხლის შინაარსზე, „საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 ივლისის №57 დადგენლების 29-ე, 64-ე მუხლების შინაარსზე მითითებასთან დაკავშირებით, მაგრამ არ იზიარებს და არ ეთანხმება ამ ნორმების შინაარსიდან გამომდინარე დასკვნას იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს საქართველოს მთავრობის კანცელარიის საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის პასუხზე ადმინისტრაციული საჩივარი უნდა წარედგინა საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსთან, ვინაიდან საქართველოს მთავრობის კანცელარია არის საქართველოს მთავრობის სტრუქტურული ერთეული და აქედან გამომდინარე, იგი არ შეიძლება მიჩნეული იქნეს სხვა უწყებად და აქედან გამომდინარე, იგი არ შეიძლება მიჩნეული იქნეს სხვა უწყებად საქართველოს მთავრობასთან მიმართებაში.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელი ექვემდებარება სასამართლოს უწყებრივად და წარდგენილია საქართველოს სასკ-ის 24-

ე მუხლით განსაზღვრული სარჩელის დასაშვებობის წინაპირობების გათვალისწინებით და დაცვით. განსახილველ შემთხვევაში დაცულია სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები: 1. სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს უარი – საქართველოს მთავრობის მიერ სზაკ-ის 36-ე მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირის უარი, რომელიც წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას, საქართველოს მთავრობას. 2. ადმინისტრაციული ორგანოს უარით პირდაპირი და უშუალო ზიანი მიადგა ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ კანონიერ უფლებებს და ინტერესებს. კერძოდ, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაუცემლობით სახეზეა მოსარჩელისათვის კანონით მინიჭებული უფლებების რეალიზაციის ხელყოფა. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, დაცულია ადმინისტრაციული ორგანოს უარის მიღებიდან გასაჩივრების ერთთვიანი ვადა. ამასთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზემდგომი თანამდებობის პირი არ არსებობს, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში სასკ-ის 2.5. მუხლის დანაწესის გამოყენება დაუშვებელია. გარდა ამისა, წინამდებარე სარჩელი წარმოადგენს სასკ-ის 24-ე მუხლით განსაზღვრულ სარჩელს, რომლის მიმართაც სასკ-ის 2.5. მუხლის დანაწესის გავრცელება ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს.

კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 მარტის განჩინება სარჩელზე წარმოების შეწყვეტის შესახებ.

გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

სააპელაციო სასამართლომ გააანალიზა საქმის მასალები, შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის თანახმად, ეს კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს ამ სასამართლოსათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით. სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, განჩინების გაუქმების

პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო სრულად ეთანხმება და იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რის გამოც სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 მარტის განჩინება. საპელაციო პალატის მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სარჩელზე წარმოების შეწყვეტის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 მარტის განჩინების გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 34-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 419-420-ე, 390-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 მარტის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე



მერაბ ლომიძე

